შშმ პირთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების კვალიფიკაცია და საპროცესო უფლებები საქართველოში

მარიამ გეგია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

სისხლის სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გეგია

23.06.2025 წელი

აბსტრაქტი

შშმ პირთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე დაფარულ დანაშაულთა ჯგუფს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ის მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს ქართულ მართლმსაჯულებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია სქესობრივი დანაშაულები, ხოლო დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს დანაშაული ჩადენილი წინასწარი შეცნობით შშმ პირის მიმართ.

საქართველოს რატიფიცირებული აქვს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც ასევე ცნობილია სტამბოლის კონვენციის სახელით. მიუხედავად ამ ფაქტისა, ქართული სისხლის სამართალი ბოლომდე არ არის ჰარმონიზებული მასთან და გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს.

ქართულ სამართალში სავალდებულო ხასიათის მატარებელია შშმ პირთა უფლებების კონვენცია, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა. კონვენციის მიხედვითაც შშმ პირებს აქვთ უფლება აღიარებულები იყვნენ სამართლის სუბიექტად. ასევე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მართლმსაჯულების ეფექტიანი მისაწვდომობა.

კვლევაში განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენენ შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. შშმ პირები სხვადასხვა სახის პრობლემებს აწყდებიან მთლიანი პროცესის განმავლობაში, მაგალითად: კომუნიკაციის მხრივ, დაკითხვა/გამოკითხვის დროს, ექსპერტიზის დროს, ხშირად ადგილი აქვს სტიგმატიზაციასა და დისკრიმინაციას. გასათვალისწინებელია კვალიფიციური კადრების არ არსებობის პრობლემა.

ნაშრომში საუბარია როგორც საქართველოს შიდასამართლებრივ პრაქტიკაზე, ასევე დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაზე, თუ რა სპეციალური დაცვის გარანტიები აქვთ შშმ

პირთა მიმართ სქესობრივი დანაშაულების დროს. აგრეთვე, თუ რა განსხვავება და საერთოა საქართველოსა და ინგლისის კანონმდებლობებს შორის. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ისეთ საპროცესო უფლებებზე, როგორიცაა მხარდამჭერ პირთა მონაწილეობა პროცესში, ადაპტირებული დაკითხვის ოთახების არსებობა, მტკიცებულებათა მიღების ალტერნატიული გზები, მეორადი ტრავმის თავიდან აცილება.

მოცემული კვლევა წარმოადგენს საფუძველს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირთა სრულფასოვანი მონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში და დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი.

საკვანძო სიტყვები: სქესობრივი დანაშაული, შშმ პირი, თანხმობის არარსებობა, უმწეობა, დისკრიმინაცია, საპროცესო უფლება.

Abstract

Sexual crimes committed against people with disabilities are one of the most covert groups of crimes related to significant human rights violations. Hence, it poses notable challenges to the Georgian judiciary. The Criminal Code of Georgia punishes sexual crimes, and an aggravating circumstance is a crime committed with prior knowledge against a person with disabilities.

Georgia has ratified the Council of Europe Convention on Combating and Preventing Violence against Women and Domestic Violence, known as the Istanbul Convention. Despite this fact, Georgian criminal law is not fully harmonized with it and has certain shortcomings.

The Convention on the Rights of Persons with Disabilities is a mandatory tool in Georgian law with the main principles of equality and non-discrimination. According to the Convention, persons with disabilities have the right to be recognized as subjects of law, where member of states must ensure effective access to justice.

The study focuses on investigative and procedural actions that are an important lever in terms of protecting the rights of persons with disabilities. Persons with disabilities face various problems throughout the process: in terms of communication, during interrogation/interrogation, during expertise, stigmatization and discrimination often occur. Additionally, the lack of qualified personnel should be taken into consideration.

The paper discusses both the domestic legal practices of Georgia as well as the experience of Great Britain, while exploring what special protection guarantees are provided to people with disabilities in cases of sexual crimes. Additionally, the study focuses the differences and commonalities between the legislation of Georgia and England. Special emphasis is placed on procedural rights such as the participation of support persons in the process, the availability of adapted interrogation rooms, alternative ways of obtaining evidence, and the prevention of secondary trauma.

This study provides a basis for ensuring the full participation of persons with disabilities in the justice process and protecting the principle of equality enshrined in the Constitution of Georgia.

Keywords: sexual crime, person with disabilities, lack of consent, helplessness, discrimination, procedural rights.